სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება № 522

(ოქმი №456)

2022 წლის 15 თებერვალი

თბილისი

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2022-2025 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115 – 121 მუხლების (საჯარო ადმინისტრაციული წარმოება, თავი IX) თანახმად,

1. მიღებული იქნას სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2022-2025 წლების პროგრამული პრიორიტეტების პროექტი თანდართული სახით;
2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად, დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2022-2025 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით;
3. წინამდებარე გადაწყვეტილება და სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2022-2025 წლების პროგრამული პრიორიტეტების პროექტი განთავსდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ-გვერდზე https://1tv.ge/organizatsia/
4. ინფორმაცია სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2022-2025 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ (ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ) განთავსდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ-გვერდზე https://1tv.ge/organizatsia/

დანართი:
1. სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2022-2025 წლების პროგრამული პრიორიტეტების პროექტი (9 ფურცლად);
2. ინფორმაცია 2022-2025 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ (ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ).

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

ირინა ფუტკარაძე

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:

მიხეილ ჩიკვილაძე

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს წევრები:

ბესიკ ლილუაშვილი

გიორგი ნიჟარაძე

იზაბელა ოსიპოვა

ირაკლი პაპავა

გრიგოლ მურღულია

ზაზა აბაშიძე

ბონდო მძინარაშვილი